თსუ ეკონომიკისადაბიზნესისფაკულტეტისსაბჭოს **2020** წლის2 აპრილის სხდომის

ოქმი № 3

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 2 აპრილს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 28 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2.. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიურ იხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. ელექტრონული სწავლების კონცეფცია

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ქვეპუნქტის დამატება - (მუხლი 20. გარდამავალი დებულებები).

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 2 აპრილის №3 სხდომის დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. ელექტრონული სწავლების კონცეფცია

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ქვეპუნქტის დამატება - (მუხლი 20. გარდამავალი დებულებები) .

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№2910/10, 17.02.2020) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთვრებულ თეონა ადეიშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან. საქმისწარმოებისას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიწოფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად საჭირო გახდა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთვრებულ თეონა ადაეიშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრულის სავალდებულო მონაცემების შექმნა.

თეონა ადეიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან დადგინდა, რომ თეონა ადეიშვილი 2003 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო სექტორის სასტუმრო და ტურისტული ბიზნესის სპეციალობაზე (ბრძანება №4/1186, 03.10.2003).

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთვრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ თეონა ადეიშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემირი ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით.

2007-2008 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №010286 (სარეგისტრაციო №010286) რეგისტრირებულია თეონა ადეიშვილის სახელზე.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№8228/02, 19.05.2008), რომლის საფუძველზეც თეონა ადეიშვილთან ერთად აკადემიური ხარისხი მიენიჭა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლის სხვადახსხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს. კერძოდ:

ბიზნესის ადინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:

- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2008 წლის 4 კურსდამთვრებულს საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;
- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის 22 კურსდამთავრებულს ფინანსისტის კვალიფიკაციით;
- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2008 წლის 6 კურსდამთავრებულს ბუღალტრის კვალიფიკაციით;
- ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2008 წლის 2 კურსდამთვრებულს ჯანდაცვის მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის 2007 წლის 1 კურსდამთავრებულს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით;
- მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის 1 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის 3 კურსდამთვრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის 2 კურსდამთვრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის 1 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით.

მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2008 წლის 3 კურსდამთავრებულს ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007 წელს მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ფაკულტეტზე მოძიებული 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები არის ზოგადი სახის. კერძოდ, ამ ოქმებში არ არის მითითებული იმ სტუდენტთა გვარები, რომელთაც მიენიჭათ ბაკალავრის ხარისხი. ასევე, არ იძებნება 2008 წელს

წარმოებული კვალიფიკაციის მინიჭების საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია:

- «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ თეონა ადეიშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2008 წლის 28 მაისი და ოქმის ნომრად №713/3.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთვრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის შუამდგომლობა (წერილი №5122/29, 01.04.2020), რომლითაც ის ითხოვს რომ მიენიჭოთ:

1. ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. გელაშვილი კრისტინა 01008061713
2. მიქატაძე ვაჟა 33001076911
3. ნემსიწვერიძე გიორგი 60001137989
4. ნოზაძე თამთა 57001058357
5. ტყეშელაშვილი ნინო 01205045975
6. ქავთარაძე ოთარ 01027079244
7. შანიძე მარიამი 01724092241
8. შახნაზაროვი ზურაბი 01015021689

2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით:

1. ქავთარაძე ქეთევან 09001027584

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბუბაშვილი ბაჩანა 41001025420
2. ბუგულოვი ქეთევან 16201034217
3. გოგრიჭიანი დავით 01027059652
4. დანელიშვილი გიორგი 01011086635
5. კვეტენაძე ანნა 18001066304

6. უგრეხელიძე აკაკი 01017050112
7. ცხოვრებაძე ანა 01001067074
8. ჭიჭინაძე თამარი 60001147015

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოთ:

1. ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. გელაშვილი კრისტინა 01008061713
2. მიქატაძე ვაჟა 33001076911
3. ნემსიწვერიძე გიორგი 60001137989
4. ნოზაძე თამთა 57001058357
5. ტყეშელაშვილი ნინო 01205045975
6. ქავთარაძე ოთარ 01027079244
7. შანიძე მარიამი 01724092241
8. შახნაზაროვი ზურაბი 01015021689

2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით:

1. ქავთარაძე ქეთევან 09001027584

დიპლომი ჩვეულებრივი:

1.	ბუბაშვილი ბაჩანა	41001025420
2.	ბუგულოვი ქეთევან	16201034217
3.	გოგრიჭიანი დავით	01027059652
4.	დანელიშვილი გიორგი	01011086635
5.	კვეტენაძე ანნა	18001066304
6.	უგრეხელიძე აკაკი	01017050112
7.	ცხოვრებაძე ანა	01001067074
8.	ჭიჭინაძე თამარი	60001147015

მოისმინეს: პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ტურიზმის სკოლის დირექტორის ბატონი სერგო მელაძის შუამდგომლობა (წერილი №4290/29, 10.03.2020), რომლითაც ის ითხოვს რომ მიენიჭოთ:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

1	დარბაიძე ბაჩუკი	28001097226
2	ვალიშვილი ნინო	44001005284
3	კვარაცხელია სალომე	51001026120
4	კურცხალია ნიკა	38001049484
5	ლაბაძე გიორგი	01001087296
6	მზიკიან ბორის	32101030154
7	ნაირაშვილი ნიკოლოზ	01008055939
8	ნიკოლაძე გვანცა	35001125407
9	ყაჭიაშვილი დიტო	01017056616
10	ხუბუნაია კახი	01024079453

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოთბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

1	დარბაიძე ბაჩუკი	28001097226
2	ვალიშვილი ნინო	44001005284
3	კვარაცხელია სალომე	51001026120
4	კურცხალია ნიკა	38001049484
5	ლაბაძე გიორგი	01001087296
6	მზიკიან ბორის	32101030154
7	ნაირაშვილი ნიკოლოზ	01008055939
8	ნიკოლაძე გვანცა	35001125407
9	ყაჭიაშვილი დიტო	01017056616
10	ხუბუნაია კახი	01024079453

მოისმინეს: პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის შუამდგომლობა (წერილი №4880/29, 20.03.2020), რომლითაც ის ითხოვს რომ მიენიჭოთ:

ა) *ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი* 2019-2020 სასწავლო წლისშემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებითი:

1	ყულოშვილი ქეთევან	01011092436

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბაინდურაშვილი ხატია	24001049891
2	ბერიშვილი ბერიკა	38001041632
3	როსტიაშვილი მარი	31001055183
4	ფრუიძე მარიამ	01027065589
5	ხარატიშვილი ეკატერინე	01019065608

ბ) ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ეკონომიკის" სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბერიანიძე გიორგი	01008063720
2	მარგიანი გიორგი	01017056800

გ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ტურიზმის" სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდმთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

ლაკლაკიშვილი მამუკა	38001045747
ხასაია ლევან	51001025651

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოთ:

ა) *ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი* 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებითი:

1	ყულოშვილი ქეთევან	01011092436

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბაინდურაშვილი ხატია	24001049891
2	ბერიშვილი ბერიკა	38001041632
3	როსტიაშვილი მარი	31001055183
4	ფრუიძე მარიამ	01027065589
5	ხარატიშვილი ეკატერინე	01019065608

ბ) ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბერიანიძე გიორგი	01008063720
2	მარგიანი გიორგი	01017056800

გ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ტურიზმის“ სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდმთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ლაკლაკიშვილი მამუკა	38001045747
2	ხასაია ლევან	51001025651

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№2910/10, 17.02.2020) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთვრებულ თეონა ადეიშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან დადგინდა, რომ თეონა ადეიშვილი 2003 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო სექტორის სასტუმრო და ტურისტული ბიზნესის სპეციალობაზე (ბრძანება №4/1186, 03.10.2003).

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთვრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ თეონა ადეიშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით.

2007-2008 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №010286 (სარეგისტრაციო №010286) რეგისტრირებულია თეონა ადეიშვილის სახელზე.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის

მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№8228/02, 19.05.2008), რომლის საფუძველზეც თეონა ადეიშვილთან ერთად აკადემიური ხარისხი მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლის სხვადახსხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს. კერძოდ:

ბიზნესის ადინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:

- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2008 წლის 4 კურსდამთვრებულს საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;
- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის 22 კურსდამთავრებულს ფინანსისტის კვალიფიკაციით;
- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2008 წლის 6 კურსდამთავრებულს ბუღალტრის კვალიფიკაციით;
- ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2008 წლის 2 კურსდამთვრებულს ჯანდაცვის მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის 2007 წლის 1 კურსდამთავრებულს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით;
- მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის 1 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის 3 კურსდამთვრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის 2 კურსდამთვრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
- საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის 1 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით.

მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2008 წლის 3 კურსდამთავრებულს ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებით 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

(ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნომებრის №633 ბრძანების შესაბამისად მოხდეს «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 28 მაისის №713/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება:

- ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2007 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

სახელმწიფო დაფინანსება - 0%

1. ადეიშვილი თეონა

- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 0%

  1. აივაზაშვილი ხატია
  2. გოგოლაძე ირინა
  3. მესხი ნატალია
  4. წიქორიძე გრიშა

- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ფინანსისტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 100%

  1. დეკანოიძე ივანე
  2. ფუტკარაძე კახაბერ

  სახელმწიფო დაფინანსება - 0%

  1. ბახტაძე თამარ
  2. ბაწელაშვილი სოსო
  3. ბაბია ირაკლი
  4. გულედანი მაკა
  5. გრძელიშვილი აკაკი
  6. დარასელია ლევან
  7. დონაძე დაჩი
  8. იზორია ირაკლი
  9. კაკაბაძე ვაჟა
  10. კვარაცხელია ანა

11. სვანიძე ზურაბ
12. სახიაშვილი მერაბ
13. სახიაშვილი ნუგზარ
14. სილაგაძე ლევან
15. ურუშაძე მარიამ
16. ქარჩავა ჯინა
17. ღვინჯილია დიანა
18. შუბითიძე გიორგი
19. ჩაფიჩაძე ზაზა
20. ხუციშვილი პაატა

- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ბუღალტრის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 0%

  1. ახალკაცი გიორგი
  2. გვაძაბია გიორგი
  3. კარელიძე ვლადიმერ
  4. ლობჯანიძე დავით
  5. ფალავანდიშვილი ვასილ

  სახელმწიფო დაფინანსება - 100%

  1. მურადაშვილი ირაკლი

- ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ჯანდაცვის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 100%

  1. ბაგაური ნინო

2. კახბერიძე სოფიო

- საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის 2007 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 0%

  1. გელაშვილი ნიკა

- მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 100%

  1. არსენიძე თეკლე

- საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

  სახელმწიფო დაფინანსება - 0%

  1. თაბუკაშვილი ლევან
  2. ჯინჭველაძე გიორგი
  3. უთმაზიანი მარიანა

- საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

სახელმწიფო დაფინანსება - 0%

1. უგულავა ზურაბი
2. ლორია თამაზი

- საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაცია და მენეჯმენტის სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

1. კორძაძე გიორგი

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2008 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს მეცნიერების ბაკალავრის (ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>

სახელმწიფო დაფინანსება - 0%

1. გველესიანი შალვა
2. კობიაშვილი თენგიზ
3. ჩიტიძე თამაზი

მოისმინეს: პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№4674/10, 17.03.2020) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთვრებულ ლევან ვეკუასთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

ლევან მურმანის ძე ვეკუა 1998 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების შრომის ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ ლევან ვეკუას ეკონომიკისა ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 10 იანვრის №4/32 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №08579 (სარეგისტრაციო №01/390) რეგისტრირებულია ლევან ვეკუას სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო მასალას, თან ახლდა ლევან ვეკუას სახელზე მომზადებული ბაკალავრის დიპლომის დანართი (ე.წ. შავი პირი), რომელშიც აღნიშნულია: „ლევან ვეკუა დაბადებული 1980 წელს 1998 წლიდან 2002 წლამდე სწავლობდა ეკონომიკის ფაკულტეტზე. 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით «შრომის ეკონომიკა»".

ლევან ვეკუას სახელზე მომზადებულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№3, 15.06.2002) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/32, 10.01.2003) მინიჭებულ ხარისხთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3, 15.06.2002) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს (მ.შ. ლევან ვეკუა) ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა ეკონომისტის კვალიფიკაციით" მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით".

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა დაზუსტდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3, 15.06.2002) გადაწყვეტილება და ლევან ვეკუასთვის

მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“. აღნიშნული ცვლილება უნდა განხორციელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3, 15.06.2002) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთვრებულზე.

მოისმინეს: ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№3940/10, 04.03.2020) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2000 წლის კურსდამთვრებულ ელენე ცაგურიშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

ელენე დავითის ასული ცაგურიშვილის 1994 წლის მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დღის სწავლების მათემატიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/488, 7.08.1994). 1995 წელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო ელენე დავითის ასული ცაგურიშვილიამოირიცხა პირველი კურსის სტუდენტთა სიიდან (ბრძანება №4/127, 24.03.1995). 1995 წლის 1 სექტემბრიდან სტუდენტის უფლებებში აღდგენილი იქნა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების I კურსზე ეკა დავითის ასული ცაგურიშვილი (ბრძანება №4/566, §17, 7.09.1995). 1997 წელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო ამოირიცხა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტთა სიიდან ეკა დავითის ასული ცაგურიშვილი(ბრძანება №4/625, §6, 24.07.1997). 1997 წლის ნოემბრიდან მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან ეკა დავითის ასული ცაგურიშვილი გადაყვანილი იქნა კომერციის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაარების უფლებით (ბრძანება №4/1169, 5.11.1997).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთარებულ ელენე ცაგურიშვილის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის

სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 13 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2000 წლის 14 ივლისის №4/686 ბრძანებით მიენიჭა ვაჭრობის ეკონომიკის და მარკეტინგის ბაკალავრიატის ხარისხი კვალიფიკაციით ეკონომისტი-მარკეტოლოგი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

შენიშვნა: ამრიგად, 1994 წელს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა ელენე დავითის ასული ცაგურიშვილი, რომელიც სტუდენტთა სიიდან ამოირიცხა 1995 წლის მარტში, ხოლო 1995 წლის 1 სექტემბერიდან აღდგა ეკა დავითის ასული ცაგურიშვილი. 1997 წლის ივლისში ამოირიცხა სტუდენტთა სიიდან ეკა დავითის ასული ცაგურიშვილი, რომელიც 1997 წლის ნოემბრიდან მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან გადაყვანილი იქნა კომერციისა ფაკულტეტზე. 2000 წელს კი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ელენე დავითის ასულ ცაგურიშვილს.

საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ელენედავითისასულიცაგურიშვილისშესახებინფორმაცია არ ფიქსირდება 1995 წლისაპრილი - სექტემბრისთვის, 1997 წლის ივნისი - ოქტომბრის თვის და 1997 წლის ნოემბრის თვის საუნივერსიტეტობრძანებებში.

2000 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №05153 (სარეგისტრაციო №01/185) რეგისტრირებულია ელენე ცაგურიშვილის სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო მასალას, თან ახლდა ელენე ცაგურიშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი (B №05153, სარეგისტრაციო №01/185), რომელშიც აღნიშნულია: „1995 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე და 2000 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობის ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ელენე ცაგურიშვილს მიენიჭა ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაცია“.

ელენე ცაგურიშვილის სახელზე მომზადებულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№1, 13.06.2000) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/686, 14.07.2000) მინიჭებულ ხარისხთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეწორდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1, 13.06.2000) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს (მ.შ. ელენე ცაგურიშვილი) ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით" მიენიჭოთ „ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით".

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა დაზუსტდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1, 13.06.2000) გადაწყვეტილება და ელენე ცაგურიშვილს მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით" ნაცვლად მიენიჭოს „ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით". აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 13.06.2000) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის დღის განყოფილების 2000 წლის კურსდამთავრებულ ელენე ცაგურიშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კავლიფიკაციით“ მიენიჭოს „ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგისკვალიფიკაციით“.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 13 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№1) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმი №1, 13.06.2000)და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართის შემთხვევაში.

მოისმინეს: ელექტრონულის წავლების კონცეფცია

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული სწავლების კონცეფცია:

პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკლულტეტზე ელექტრონული სწავლების კონცეფცია

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკლულტეტზე ელექტრონული სწავლების კონცეფცია (შემდგომში - ,,კონცეფცია“) ეყრდნობასსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესს.
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკლულტეტზე ელექტრონული სწავლების კონცეფცია თუ არ მოდის შესაბამისობაში სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესთან, მოქმედებს სსიპ-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი.

მუხლი 2. ელექტრონულპლატფორმებზე სასწავლო კომპონენტის ამოქმედება

1. უნივერსიტეტში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული შეიძლება იყოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა LMS და სასწავლო პლატფორმა Moodle. ასავე მასალები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
2. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული შეიძლება იყოს ონლაინ პლატფორმა zoom.
3. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მოხდება სილაბუსესბში სასწავლო კომპონენტების მოდიფიკაცია. წარმოდგენილი იქნება ორი სასწავლო კომპონენტი მიმდინარე (30 ქულა) და ფინალური (70 ქულა). მიმდინარე კომპონენტის მინიმალური ზღვარია 16 ქულა, ხოლო ფინალურ გამოცდაზე მინიმალური ზღვარია 35 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტის დეტალურ გაწერას ახდენს საგნის პედაგოგი კათედრის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ისეთ აქტივობებს როგორიცაა: ესე, პროექტი (ჯგუფური ან ინდივიდუალური), ინდივიდუალური დავალება. გაწერა უნდა დასრულდეს მ.წ. 10 აპრილამდე და სწავლების ასინქრონული ფორმების მეშვეობით ეცნობოს სტუდენტებს.[1]
4. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები შესრულდება თსუ-ში მოქმედი წესების მიხედვით და მატი მონიტორინგი განხორციელდება დადგენილი წესებით.

მუხლი 3. ელექტონული სწავლების ადმინისტრირება

1. სასწავლო პროცესებში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირების მიზნით ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით იქმნება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი.
2. ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი ჯგუფი:

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე, დეკანი*(ჯგუფის ხელმძღვანელი)*
2. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, დეკანის მოადგილე
3. ირმა მშვენიერაძე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
4. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
5. ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე
6. მამუკა ხუსკივაძე,ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე
7. ლალი ჩიკვილაძე, მთავარი სპეციალისტი
8. ელისო კვირკაშვილი, მთავარი სპეციალისტი

[1] გამონაკლის შემთხვევებში ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით განხორციელდება შეფასების განსხვავებული კომპონენტების ფორმირება. საბოლოო შეთანხმება შედგება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

9. ზვიად სიგუა, მთავარი სპეციალისტი (ტექნიკური დახმარების ქვეჯგუფის ხელმძღვანელი)[2]

1.ირაკლი სიგუა,უფროსი სპეციალისტი (IT დეპარტამენტი)
2.დალი არახამია, მთავარი სპეციალისტი
3.ნინო ლობჟანიძე, უფროსი სპეციალისტი
4.ნინო ტალიკაძე, უფროსი სპეციალისტი
5.შორენა დავითაია, პროფესორის ასისტენტი
6.ზურა კუბლაშვილი, უფროსი სპეციალისტი *(მონიტორინგი)*

მუხლი 4. ელექტონული სწავლების დაწყება და ვადები

1. 2020 წლის 23 მარტიდან სავარაუდოდ 2 კვირით იწყება ასინქრონული სწავლება. ამავე პერიოდში სინქრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით.
2. 2020 წლის 27 მარტამდე სასწავლო პროცესში ჩართული ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგისტრირდება ონლაინ პლატფორმა zoom-ში.
3. კათედრის ხემძღვანელი ახდენს, ელექტრონული სწავლების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის უწყვეტი მიწოდების მონიტორიგს. ყოველი კვირის პარასკევს წარმოადგენს მოკლე ინფორმაციას მომდევნო კვირის სასწავლო მასალის მიწოდების შესახებ.
4. პედაგოგები, რომლებიც მოწვეულია სხვა ფაკულტეტებიდან (მ.შ. ენების ცენტრი) ინფორმაციას წარმოადგენენ ფაკულტეტის სასწავლო პროცესისი მართვის სამსახურში.
5. ელექტრონული სწავლების სინქრონულად ჩატარებული ლექცია/სემინარების ჩანაწერები აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების მიერ ინახება მათთან და გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში ჩატარებული ლექცია/სემინარების დამადასტურებელ მასალად.

6. ელექტრონული სწავლების სინქრონული ლექცია/სემინარების მონიტორინგს განხორციელებს მონიტორინგის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, რისთვისაც მას გადაეცემა აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების აიდი კოდები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ელექტრონული სწავლების კონცეფცია

[2] ჯგუფი აქტურად მუშაობს ფაკულტეტის დოქტორანტებთან და სტუდენტურ თვითმართველობასთან

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ქვეპუნქტის დამატება - (მუხლი 20. გარდამავალი დებულებები) .

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ 2019 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წელს აკრედიტებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კომპონენტები მკვეთრად განსხავავებულია 2019 წლამდე მოქმედ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებისაგან.

დოქტორანტების უმრავლესობას სასწავლო კომპონენტები შესრულებული აქვთ. მ. ლობჟანიძემ, დოქტორანტების ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს მიმართა თხოვნით შევიდეს შესწორება აკადემიური საბჭოს 2019 წლის #75 დადგენილებით დამტკიცებულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე-20 მუხლში (გარდამავალი დებულება), პირველ პუნქტს დაემატოს 1^1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ დოქტორანტებს სასწავლო კომპონენტები ჩაეთვალოს შესრულებულად. აღნიშნული დაშვება გავრცელდეს მხოლოდ იმ დოქტორანტებზე, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომს წარმოადგენენ 2022წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: შევიდეს შესწორება აკადემიური საბჭოს 2019 წლის #75 დადგენილებით დამტკიცებულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე-20 მუხლში (გარდამავალი დებულება), პირველ პუნქტს დაემატოს 1^1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ

დოქტორანტებს სასწავლო კომპონენტები ჩაეთვალოს შესრულებულად. აღნიშნული დაშვება გავრცელდეს მხოლოდ იმ დოქტორანტებზე, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომს წარმოადგენენ 2022წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებამდე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე